

# ლიტერატურული კატეგორი

№ 100 5 - 18 ივნისი 2013

გამოცემის თარიღი 2013 წლის 1 ივნისი, არასპეციალური

ფასი 50 თეთრი

## ტარიელ ჭანტურია

ღმართო...  
ინფანტილური

რომ სახლი ჩვენი — უსაყვარლესი  
ეს დედამიწა არ გავდეს გეტოს —  
გთხოვთ,  
გევედრებით,  
გემუდარებით:  
დაადე სიკვდილს, უფალო, ვე ტო!  
...უფალო! წამით გიხილე წუხელ —  
ხელი ჩემს მიმქრალ მაჯაზე გედო...  
იქნება დაგვხსნა ამ ურჩხულს წამდვილს —  
იქნება სიკვდილს დაადო ვეტო!  
უუმაღლესო სინათლის სვეტო!  
მოკვდავთა ბოლო იმედის წვეთო!  
ღმერთმა ეს რწმენა ნუ გაგვიცრუოს —  
ბოლოს სიკვდილსაც დაედოს ვეტო!  
თუნდ გულუბრყვილო ოცნება ჩემი —  
მთელი ცხოვრება გულშირომ მედო —  
აღსრულდეს იქნებ — უფალმა იქნებ  
მართლა დაადოს ჩვენს სიკვდილს ვეტო...  
კი, რა თქმა უნდა — სიკვდილის მერეც  
ვეცდები, მკითხველს წინ წიგნად ვედო...  
მაგრამ ის არ ჯობს? — ვიყო ცოცხალი —  
სიკვდილს, მაგ ახერს, დაედოს ვეტო...

IV-V

## კატო ჭავახიშვილი

თათრი მინა

მთვარე გამოლრდნეს წუხელ თაგვებმა.  
ჩემი ყველა სარძევე კბილი მოიპარეს და  
მთვარე გამოლრდნეს.  
ახლა ბავშვობა ჰეგავს საფრთხობელას,  
ბებიაჩემბარომ გაკიდა კაბად.  
გადაღმა.  
გამოქვაბული ფქვილის სახლია.  
მეთითებით ნედლ ხორბალს ესრისავ.  
და ზურგით ვზივარ.  
ახლა ცხოვრება ჰეგავს უფრო თამაშს,  
ბებიაჩემბარომ დაკარგა საჩემო გზიდან.  
უფრო მაგრად დაიღრიალე!..  
გამოქვაბულებს არ უხდებათ სრული სიჩუმე.  
სიჩუმე — მზარავს.  
ახლა ისეთი მარტივია იცხოვრო ჩუმად  
და ჭიქის ფსკერზე დაელოდონ დროის გაბზარვას.

მეუკე ვისნავლე, ვისნავლე ფქვილისგან სახლების შენება.  
დაუკე დროა, რომ სახლოს მაგივრად სათიბი დამარქვა.  
და მე რომ მეგონა, და მე რომ ვიცოდი, და მე რომ მჯეროდა  
და მე რომ მიყვარდა.  
და მე რომ ვეძებდი.  
ამ ფქვილის სამარბში  
იმდენი მკვდარია, —  
რამდენი ჩეროც მაქვს.

მეუკე მიკენკავს ჩვილ სახეს ეს ქარი, შავი და ბოროტი.  
მეუკე კაბები, შავ-თეთრი მაქმანით სიგრძეში შევავსე.  
მეუკე აღარ მწყინს, როცა სიჩუმეში ვიღაც დააბოტებს.  
მეუკე აღარ მწყინს.

უკეგავიზარდე  
დაუკე „მამასი“  
„დედასი“  
„ბებოსი“  
აღარ ვარ...  
და მაინც ვერაფრით გავიძრე  
ბების ნაქონი სამოსი,  
მთელი ბავშვობა რომ „სადიდო“  
კაბები მეგონა.

ჩემი ფქვილი — თეთრი მიწაა.  
სავსე მთვარიდან, როგორც ტომრიდან,  
მეყრება მხრებზე.  
ბებიაჩემბი სათიბია. სათიბში მოვა  
ღამე.  
მის თვალებს აკენკავს და მე მომიხელთებს.

XII

დასაწყისი №97-99

#### 4. ନେତ୍ରପାଦିକ

— „გიურზბა“ „ფალანგა“ ვარ. ისევ ის  
თეთრი ლენდფროვერია. როგორ გესმის  
ჩემი. ორზი არიან. მეხუთე კვადრატში უნ-  
დათ შესვლა. მძღოლს ნებართვა აქვს, მე-  
ორეს — არა. როგორ მოვიქცე?

გიურზას ალბათ ესმის ყველაფერი, ოღონდ ქარში იმის ხმა იკარგება და მხ-ოლოდ რაციოს ხრიალი მესმის.

— რით არ მოგდებრდა ჩემი წვალება. ეს გიურზაც დაღალე. პირველად ხო არ მხედავ, არა? ამედას ბინამდევ მივალთ და გამოვალთ. აზერბაიჯანში გაქცევას არ ვაპირებთ...

უდაბნოსფერი ჯარისკაცი ნაბიჯს  
დგამს ჩემსკენ, ზურგზე ავტომატის  
სწორებით იხრება და მანქანაში იყურება.  
ჩანეულ ფანჯარაში ქარი იჭრება, ქარი  
ზუზუნებს მთელ ველზე. ერთმანეთს ძევც-  
ქერით. ჩვენი სახეები კრიტიკულ მან-  
ძილზეა ერთმანეთისგან. ოღონდის თავზე  
მადგას და ზურგზე ავტომატი კიდა, მე  
კიდევ ლენდროვერში ვზივარ და საჭეზე  
მიწყვია ხელები.

და ამ დროს ჩემი თანამგზავრი, თავა-  
დაც კამუფლაჟიანი ქალი, რომელიც აქამ-  
დე უხმოდ ეწეოდა სიგარეტს და გულგ-  
რილად ათვალიერებდა პეიზაჟს, კიდევ  
უფრო გულგრილი სახით ინეგა ჩევნენს კენ,  
მარცხენა ხელით მუხლზე ემყრდნობა,  
მარჯვენას გულის ჯიბეში იყოფს და  
იქიდან კარგად დამუდამებული მოძრო-  
ბით, რაღაცნაირი დაღლილი და კაცური  
ზღაზღნით აძრობს საბუთს, უსიტყვოდ  
შლის და უდაბნოსფერ ჯარისკაცს  
აჩვენებს. საზღვრის დარაჯი მხედრულ  
სალამს აძლევს და გაიარეთი, — მეუბნე-  
ბა, თან თავს მიქნევს იმის ნიშნად, რომ  
ახლა კი მიხვდა, რატომ ვარ ეგეთ დიდ  
გულზე. მე კიდევ, ღმერთი რჯული, არ  
ვიცი და არც მაინტერესებს რა ნერია იმ  
დაბერილ საბუთში. არც ვკითხავ. მართ-  
ლა არ ვეითხავ!

გზა სსნილი მაქვს და გაღალებული  
ლენდროვერი მეხუთე კვადრატს სერავს.  
პოსტის მერე პატარა აღმართს ვათავებთ  
და ტრიალ მინდოორში მივეკრიგართ. წინ  
ალესილები მოჩანს და მართლა ლამაზია  
აქაურობა. მარცხენა მხრიდან გზას ის უჭ-  
ველებელი მშრალი ხევი მიუყვება, მის შიგ-  
ნით ბოდიალს რომ არაფერი სჯობია. თიხ-  
იან გორებს და ალესილებს შორის მოქ-  
ცეულ ტრამალს შუაზე ხეოქავს ეს ხევი.  
დაფრინილი პირი აქა აქვს და ბოლო  
სადღაც აზეირბაიჯანი... ჩემი თანამგზა-  
ვრისკენ ვაპარებ თვალს და სულ არაფერი  
ანერია სახეზე.

ერთი თვალის შევლებით გამოვარჩივ ამდენ კამუფლაჟიანში. არც არის გასაკვირი. იორზე ქალის გამოჩენა უჩვეული და აღსანიშნავი ამბავია. უთენის გამაღვიძა იმათი მანქანების სიგნალებმა, გადაძახილმა, საბარგულებიდან გადმოყვანილი მდევარი ძალების წყავწიავმა, იმათზე დატანებული ქაქუცას ქოფაკების ყეფაშ. სულ ძალოვნები არიან. „სამხარე პოლიციის უფროსია“, — ჩურჩულით მეუბნება თომა, — „სამინისტროს ხალხი ყავს სტუმრად.“ ბლომად არიან. სტუმრების გარდა სამხარეოს უფროსს რაიონის საუკეთესო ბრაკონიერების და იმათი ძალების მთელი დასტა წამოუყვანია მარეებად. თავის პურმარილით მოვიდნენ. გაყინულ სასადილო ოთახში ნაუცბათ-ევად იშლება სუფრა.

„ჩვენ კოლექტივს გაუმარჯოს!“ —  
ფეხზე დგება ახალგაზრდა, ხმელი კამუ-  
ფლაჟიანი, — „ჩემთვის ყოველ თქვენთა-  
განთან მუშაობა დიდი პატივია. პატივი და  
პასუხისმგებლობა. ვაშლის ყუთში ერთი  
ვაშლიც რომ დაბლეს. მთელ ყუთს  
დააპოობს. არ არი ეგრე?“

„ეგრეა, ეგრე...!“  
„შენ რა მაგარი სადლეგრძელოები  
გცოდნია?! ვაშლებიო?! როგორ გეტყობა,  
გორელი რო ხაარ, მე ჩათლახო შენა!“ —  
მთელ იმდენ ფორმიანში მარტო ეს ერთი  
ლიპარია, ჩემი ახალგაზრდობის დროინ-  
დელი ნაჩათლახარი, მორგვისკესრიანი  
ოპერების მსგავსი. დანარჩენი ახალი,  
ჩემთვის უცნობი ჯიბია. რის ღიპი?! ბეჭედ-  
ში გაძვრებოდნენ, განიერი მხრები რომ არ

უშლიდეთ ხელს. არა, ესენი არც დათვრებიან ნადირობის წინ. სტუმრის სთვის ქაქუცას არასოდეს ენანება ღვინო და არაყი. ეს ჭალის და ალესილების ნადირ-ფრინველი ჩემი კი არა, სასმელის გადარჩენილია, — იძახის. გატრეტილ მონადირეებს აღარც მუხლი უვარგათ და აღარც თვალი უჭრით, მაგრამ ესენი სხვანარები არიან. ამათ არ უმტყუნებთ მუხლი, თვალი და მკლავი. მოკლე წახემსება, სამ-სამი ჭიქა და იშლებიან. კუთხეში მიყუდებულ იარა-ალს ინანილებენ. ერთმანეთს აჩვენებენ, ბალისტკიაზე ბჭობენ. ცოტათი ბავშვებივით არიან, ეს იარალის სიყვარული, ომობანას თამაში. ერთობიან. სულ ერთობიან სახითათო თამაშებით... რაჯება მიყვებოდა... უმუშავია მაგათან. ეს სეზონზე დავს-დევთ ჩიტებს, თორემ ჩვენ ჩვენი პრო-

ბეზრებული სახე უსდება და: ეგ დამბა სად  
არისო? — მეკითხება.

— აქვეა. არ არის შენაგიყვან. მანქანით ვარ..

მგონი, ეხლალა მათვალიერებს პირველად. მგონი, „შენობით“ მიმართვამ მოჭრულური. მე კიდე მკიდია. მაგრა მკიდია და უცემ კარგ ხასიათზე ვდგები. ოორზე მონადირეების გამოჩენა არასოდეს მაყენებას კარგ ხასიათზე, მაგრამ ქალის გამოჩენა თუნდაც ფორმიანის, მაინც მახალისებას....

ყურთან მიღებული ტელეფონით დამბაზე ქარში ისე დაიიარება აქეთ-იქით თითქოს პოდიუმზე იყოს. ვერავინ დამაჯერებს, რომ კამუფლაჟიანი შარვალი ვინ მეტ სანადიროდ ათხოვა — მისია და ჩვეულებრივი უნიფორმაც არ არის. ტანზე მომდგარი — საგანგებოდ მისთვისაა შეკერ-

მის მიერნიეთ ველზე გაშლილ ახმედას ფარას. აქედან კარგად ჩანს ყველაფერი. განაპირა მნიუმსი ორ ახალდაბადებულ ბატყანს მიაკონიალებს. დოლია. ბატყანი პირდაპირ ყინვაში და ქარში იძადება, ესეთ ამინდში უნდა იყოჩალონ მნიუმსებმა, თორემ ვერ გადაურჩებიან ჯერ ახმედას და მერე ქაჭუცას. ძაღლები სულ ბოლოში მნერივად მისდევენ ფარას და ველად დარჩენილ მომყოლს ჭამენ. იმათ გავლილზე ორი სვავი ძიგნის რაღაცას. ეტყობა, ამათაც ქოფაკებს გადარჩენილ პლაცენტას მიაგნეს. ჩალისფერ ბალაში და დამდნარი თოვლის ნაკუნებში ორ შავ ლაქად ჩანს ორი დიდი ფრინველი. შუშას დაბლა ვწევ და სურათს ვუღებ. მანქანაში ისევ იჭრება ქარი და სუსხი. ჩემი ობიექტივისთვისაც კი შორია. გამოსახულებას ვაღიდებ და იმას

# ჩიტის და კაცის აღავთი



ფესიებიც კი გვაქვს. მე თავისუფალი ფო-  
ტოგრაფი ვარ, რაჯება — თავისუფალი  
ტრიდე გრაფიკოსი. პროექტში დაუძახეს,  
კარგადაც უხდიდნენ. დიდი გუნდი  
მუშაობდა — სულ საუკეთესოთა შორის  
საუკეთესოები. პოლიციის დაკვეთით კო-  
მისიუტერული თამაში შექმნეს. რაჯებამ  
ბატრულის სერუანტ გორჩა დგებუაძეს  
შთაბერა სული. სამგანზომილებიანი გახ-  
ადა, მხარ-ბეჭი და დარდი-მანდული მით-  
ვრა-მოხვრა არ დააკლო. მეც მაჩვენა-  
ნი მარტინ და მარტინ და მარტინ

ილი და თვითონაც ჩეგნს დამბაზე მოდერნიზით ბოლთის მცემელი, სულ არ არის ურიგო საცქერი. ოღონძ იმდენ ხანს ლაპარაკობს, რომ ეს სანახაობაც მბეზრდება. უპატრონო რომ არ ვეგონო, მცე ხონი არ დავურეკო ვინმეს-მეთქი, ვფიქრობ, მაგრამ რაჯებას მეტი არავინ მახსენდება და იმას კიდევ გუშინაც ველაპარაკე ზუსტად მისა დაუსახოვთ.

აძვე ადგილიდან...  
როგორც იქნა, ამთავრებს ლაპარაკს  
მოდის, მანქანის კარს აღებს და ქარის  
წყილთან ერთად ქვევიდან, ჭალიდან მო-  
მავალი წყვილი გასროლა მესმის. ძალვ  
ანები ნათირობენ...

— საით გამასკირნებ?

ରାନ୍ଧା — ଯୁଗମଶୀ, ରାଜମା — ପିରମଶୀ

ცდილობს სკამზე მოხერხებულად  
მოეწყოს და სიგარეტს აძრობს ჯიბიდან  
ოღონდ, გამასეირნეო — ქალი რომ  
გეტყვის, ცოტა ხალისიც ხო უნდა ეტყო-  
ბოდეს, შენც რო მანქანის ადგილიდან  
მოწყვეტადა ველად გაჭრა მოგინდეს. ამას  
არც ხალისი ეტყობა და არც ინტერესი  
მართო მოწყვინილობა...

— ମନ୍ଦିରରେ କାହାରୁ ପାଇଁ କାହାରୁ କାହାରୁ...  
— ମନ୍ଦିରରେ କାହାରୁ ପାଇଁ କାହାରୁ କାହାରୁ...

— ೨೩

— შენ უნდა იცოდე, შენიანებმა დაარქვეს...

მარტო მხრებს იჩეჩავს და სიგარეტს  
ქაჩავს. ერთს ჩაიყვანს ბოლოში და ახალს  
უკიდებს.

სასაზღვრო პოსტის მერე აკი მაიხც  
ვიჭრები ველად და მეზუთე კვადრატში  
მივაქროლებ. ის კი მხოლოდ ნინ იყურება  
თითქოს აქეთი-იქითაც იყურება, მაგრან  
ამავე დროს, თავს მოვიწრი, არაფერს ხე  
დავს. პატარა აღმართს ავდივარ და  
მკვირდად აჩირიგბ ლინდორვირს. თითქ



\*\*\*  
ლექსი – ნაღდი პოეტების  
ერთადერთი კრედიტ-კარტა!  
არც ამ საწყალს გააჩნია  
არაფერი, ლექსის გარდა!  
მანც არ აიტუზება  
გიში ხელისუფლის კართან!

მე რა გითხრათ – მანც არ იცის,  
რა ლირს მისი კრედიტ-კარტა...

**ცა... ცა...**  
ამ ვარსკვლავებით მოჭედილ  
ზეცას ყურება მიზიდავს!  
იდუმალება მისი და  
უსასრულობა მიზიდავს!  
ასცერის მინა ამ ზეცას –  
ამ ულამაზეს ვარსკვლავებს! —  
ეს ვარსკვლავები – იცის მან –  
მისი ძმაა და მისი და...

...ხოლო თუ იმ პლანეტებზე  
დღემდე არ არის სიცოცხლე –  
რა მოხდა – გადაინერ გონ  
სიცოცხლე დედამინდან!

\*\*\*  
თქვენ ათასნაირ ლვინოს სვამთ,  
სხვადასხვა მარკის ლუდებს!  
ის სულ სხვა რამით ერთობა!  
ის ტიპი! – ჰომო ლუდენს! —  
ის მოთამაშე კაცია –  
თამაშობს ასგარ თამაშს!  
ქალთან არშიყს რომ მორჩება,  
ხვდება სულ სხვაგვარ და მას! —  
ათასჯერ უფრო მახინჯს და  
ათასჯერ უფრო ლამაზს!

ვერანაირად ვერ დათმობს  
ის ამ ცხოვრებას – თამაშს...

**თავავი...**  
ეს მამლების ბრძოლა მიყვარს –  
ამაყი და მედიდური!  
(გამარჯვებულს უკეთესი  
ვერ ვუპოვე მე ტიტული...).  
მინდა ვნახო ეს ბრძოლები –  
სულ მეტი და მეტი ტური!  
გამარჯვებაც, დამარცხებაც –  
ლამაზი და მედიდური...

\*\*\*  
რუსთაველმა გამზარდა და  
ეს მასწავლა შოთამ ასე –  
სულ მიყვარდეს თამაში და  
სულ მიყვარდეს მოთამაშე...  
მეც ვზიგარ და მეც ვფიქრობ და  
სიყვარულით ვუძლვნი ამ ლექსს  
ყველას – გამარჯვებულ მამლებს!  
მათაც – დამარცხებულ მამლებს...

**თვითერითიკული ლექსარომატი**  
— მუდამ კარტს რომ არიგებ  
და  
არასდროს რომ არ იგებ  
და  
ვერასდროს რომ ვერ იგებ –  
ამას რატომ ვერ იგებ?

თავს რომ იქებს ყველა და  
ამ დროს შენ რომ ვერ იქებ,  
ამას როგორ ვერ ხვდები,  
ამას რატომ ვერ იგებ!

რატომ არ ერიდები  
თახსირებს და ვერაგებს! —  
მათი უმრავლესობა  
არ აგებს და ვერ აგებს!

გეგმებს იმ არარსებულ  
მოგებებზე ნუ აგებ! —  
მოსაგებს და წასაგებს  
ერთნაირად ნუ აგებ...

\*\*\*  
ეს სიცოცხლე – წელი. წელი...  
ეს ცხოვრება – ვწელე. ვწელე...  
რა ვიტირე! რა ვიმდერე!  
ვინ წაგმალე! რა დაგნერე...

მოლოდინი – ხან – მუზის და  
ხან – ფლეშის და ხან – კარესი...  
დარდი შეილთაშვილებისთვის –  
უ-უ-უ-უანკარესი...

## ტარიელ ჭანტურია

**ნიგნიდან: წაგებული კაცი.**  
**წაგებული ქალი**



როგორც ცვლიდა კაროლს – დამა,  
ისე ცვლიდა „პულეას“ „პულეა!“  
მოგებული მე არ ვიცი –  
ვიცნობ მხოლოდ წაგებულ კაცს...  
ჩვენი გაპარტახებული –  
გაიხსენეთ გრძნობა ხუთი...  
ჩვენც ღრენებში დავიღუპეთ –  
დაგვრჩა ჩვენაც შავი ყუთი...

კარგად დაათვალიერეთ –  
ნახეთ ჩემიც შავი ყუთი...  
...ბოლო წუთის მეშინია –  
ახლოსაა ბოლო წუთი...  
\* \* \*  
როგორც გვაოცებს მეტეორიტი –  
ჩამოვარდნილი ცით ქვა –  
ისე გვაოცებს ბრძნული, ლამაზი,  
უცხო, უზადო სიტყვა!  
რამდენი რამე ითქვა დუმილით,  
ათასი რამე ითქვა,  
და მაინც – სხვაა ბრძნული, ლამაზი,  
უცხო, უზადო სიტყვა!  
ძნელია, ზოგჯერ – შეუძლებელიც  
ვეება ლოდის ზიდვა,  
მაგრამ მილონ ლოდზე მძიმეა  
ნება ლეთაების სიტყვა...

\* \* \*  
თვალიც ბევრჯერ დამისველდა,  
ლექსიც ბევრი დამიძველდა...  
ვდგვავარ ლამის შესასვლელთან –  
იმედიან სიზმრის მცველთან...  
ბევრი ავიცილე ელდა,  
ვსკი შხამები დამღლელ წელთა...  
მოვინელე – ვინც რაღაცას  
რაღაცისთვის ჩემზე წერდა...  
თვალიც ბევრჯერ დამისველდა,  
გულიც ბევრჯერ ამიძგერდა...  
...მადლობა ლერთს, საცოდავი  
დედაშემი არ მიცქერდა...

\* \* \*  
მეძინა შენთან, და სიზმარში  
მეძინა სხვასთან!  
გეძინა ჩემთან, და სიზმარში  
სხვასთან გეძინა...  
ასე გონიერს, ასეთ კეთილს  
და ასე მართალს –  
გამოლევიძებულს – ჩემს სიზმარზე  
რად გაგეცინა!

\* \* \*  
ჯერჯერობით ისევ ფეთქავს  
გული ჩემი – ადამის ხნის...  
ველოდები ნაცნობ ექთანს –  
მოვა, მაჯას გადამიხსნის...  
ვის ვუტოვებ, არც კი ვიცი,  
ამ ლექსაა და ამ ბალადას...  
მოგრჩები კი? ამ ბნელ ვიზიტს –  
ამ ექიმს და ამ პალატას...

ვიტანჯე და ვიწვალე და  
დღესაც ისევ ყვლაპავ წამლებს...  
როგორ მოვრჩე – ვისწავლე და  
როგორ მოვეცდე – ვერ ვისწავლე...

\*\*\*  
ადამიანის სიცოცხლე  
მშვენიერია მითი,  
რომ საშუალოს, რუტინას  
ცვლის მიმზიდველი მითი.

შევლის ამ საქმეს ფიარი,  
კასეტა, ლექსი, სიდი...  
და გაშვერილი კავკასის  
მწვერვალებისკენ თითი!

კაცი რომ მიდის ეგე, ეე –  
უფსკულისკენ რომ მიდის –  
მითის წყალობით ყმანვილი  
თურმე ზეცისკენ მიდის!

იცვლება ზლაპრით – რუტინა  
და ვეფხვის ტყავით – ჩითი...  
(მიღებეთ პოზა – სულ მალე  
გამოფრინდება ჩიტი...).

ისე, რამდენი გვინახავს  
ჩამონგრეული ხილი!  
მითიც რამდენი გვსმენია –  
განც ყალებული მითი...

\*\*\*  
ვის რად უყვარს მინა უფრო,  
ვის რად უყვარს ცა უფრო –  
ვზივართ ახლა მე და ის და  
ვკამათობთ და ვსაუბრობთ!  
ზოგს რად უყვარს მინა უფრო,  
ზოგს რად უყვარს ცა უფრო,  
ზოგს რად უყვარს ცა კრიალა –  
სულთა ჩვენთა საუფლო...

ზოგის აზრით – ვჩენებობთ ნაღდად,  
ზოგი თვლის, რომ ვსაუბრობთ...

\*\*\*  
(ქვრივი)  
ფერმიხდილი,  
ვალმოხდილი,  
ათას ფიქრგადახდილი –  
ზის თავის სამ შვილთან ერთად!  
(სამი ქალი – დაქტილი...).

შორიდან ჩანს, აქედან ჩანს  
სახე წმინდა სამებას...  
უყვარს როიალთან ჯდომა –  
მოჩერიალე გამები...

ჯერ კავშირი ქმრის საფლავთან  
მტკიცეა და მკვრივია...  
მარტოსული,  
სხვანაირი,  
უცნაური ქვრივია...

კაცისკვლელებს, ნაძირალებს,  
აფერისტებს, ახვარებს –  
მის მაგიერ გევედრები –  
ღმერთო, ნუ შეაყვარებ!

\*\*\*  
ვცდილობ, ჩემი ცხოვრების  
ეპილოგი შევასწორო –  
ახალ უბედურებებს  
სამოთხეში შევასწორო! —  
დავიბრუნო დღეები –  
ადამის დროს რომ იყო,  
ყველაფერი – მთლად ისე,  
როგორც იყო ევას დროს!  
ვჩეარობ – საშინელებებს  
სამოთხეში შევასწორო...  
დავიბრუნო ადამის დრო...  
დავიბრუნო ევას დრო...

**ჯიგეცარილი ლექსარომატი**  
რაც მსოფლიოში ფულია,  
ყველას მოუკვდა პატრონი!  
მიყვარს უფულო ტიპები –  
ჰომეროსი და პლატონი!  
სანამ მაყუთის გულისთვის  
ძმაკაცს საკუთარს მოკლავდე,  
სანამ გასისხლულ ევროთი  
საესე ტომარას მოკრავდე –  
უფულო განდზე იფიქრე,  
სხვაც გაიხსენე ლარიბი –  
რუსთაველი და ესქილე,  
ევრიპიდე და სოკრატე...  
ყველა – ყველაზე ლატაკი,  
გამორჩეული უფულო,  
ვალში ყელამდე ჩაფლული –  
შენ დაიფარე, უფალო!

**თამაშ-თამაშ...**

როგორც კამათელს არა აქვს ჭკუა –  
ვისთან მივიდეს და ვისთან არა –  
ისე სიკვდილსაც არა აქვს ჭკუა –  
ვისთან მივიდეს და ვისთან არა!  
მე, შედარების ოსტატად ცნობილს,  
ეს შედარება გამომეპარა!  
ამასობაში – მოულოდნელად –  
თვითონ სიკვდილი წამომეპარა...

როგორც კამათელს არა აქვს ჭკუა –  
ვისთან მივიდეს და ვისთან არა –  
ისე სიყვარულს არა აქვს ჭკუა –  
ვისთან მივიდეს და ვისთან არა!  
მეტიც – სიყვარულს არა აქვს ჭკუა,  
როდის მივიდეს და როდის არა!  
უნდა სამიგეს დანებდე კაცი!  
ნუ დანებდები! გაქვს რამე ჩარა?

**პოლემიკის რაჟიშვილი**

რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,  
უველა როდი ვართ ღირსი!

რომ კომუნისტის სახელი ერქვას,  
ნალდად არ არის ღირსი  
პემინგუები, თრაკლი, გონგორა,  
ფოლკნერი, კაფკა, ბირსი...

რომ კომუნისტის სახელი ერქვას,  
ნალდად არ არის ღირსი  
სილვია პლათი, პო, სერგანტესი,  
პაიდეგერი, კიტსი...

რომ კომუნისტის სახელი ერქვას,  
ნალდად არ არის ღირსი  
შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა  
და არც მემკვიდრე მისი...

ამ აზრს თუ ვინმე ექს-კომუნისტი  
ხვალ-ზეგ დაუწყებს კამათა,  
რა ვენა, მე იმას პასუხს ვერ გავცემ,  
იმის დედაც და მამაც...

\* \* \*

მატარებლით, თვითმფრინავით,  
მერე, ბოლოს, გემით  
გადავსერე, გადმოვსერე  
დედამინა ჩემი...

უფრო დღისით, მაინც დღისით,  
მერე კიდევ – ღმით,  
ვნახ ქვეყნის იაფეტი,  
ვნახ ქვეყნის ქამი!

ვნახე, თქვენ წარმოიდგინეთ,  
უფრო ცოტა სემი...  
მატარებლით,  
თვითმფრინავით,  
მერე, ბოლოს, გემით...

ვნახე, ვისაც ბედი წყალობს,  
ან არ წყალობს ბედი...  
ბევრი სემი... ბევრი ქამი...  
ცოტა – იაფეტი...

**მუნაკავი**

სადაც შობილხარ, გაზრდილხარ  
და გისროლია ისარი,  
ბოლომდე როგორ განირე,  
შე შობელძაღლო, ის ერი!  
მტერზედაც ადრე, ნეტავი  
შენ მოგზეხოდა კისერი...  
სადაც შობილხარ, გაზრდილხარ,  
როგორ დალუპე ის ერი!  
ლერთმა არ მოგცა სინდისი,  
ნამუსი, თუნდაც მიზერი...  
...შენი შობისთვის ყველაფრის  
ღირსია ალბათ ის ერი...

**ლექსიკონის აურენის ნი**

თავდება, თავდება, თავდება მინა და  
არსად და არასდროს თავდება ცა!

არსად და არასდროს თავდება ცა,  
და ცალი ამაოდ დაექებს ცალს...

თავდება სიცოცხლე, რწმენა, სიყვარული  
და არსად არასდროს თავდება ცა...

კარგია! – არასდროს თავდება ცა!  
ცუდია! – არასდროს თავდება ცა!

**ცოლი**

შენ იხდიდი მის ვალს და  
ის იხდიდა შენს ვალს...  
უკვდავების სასმელი  
დღეს მარტოკამ შესვა...

ალარ იცი – სად, როდის,  
როგორ უნდა შეხვდე!  
პაემანის ადგილად  
გინიშნავენ ეკვდერს...

ალარც კექსი გეჭმევა,  
არც საფირმო ტოლმა...  
უღალატომ, ერთგულმა –  
მიგატოვა ცოლმა...

შენის ნაცვლად ყოველდღე  
მისას იცვამ ხალას,  
და მის წასვლას უეცარს  
გულში არქმევ ღალატს...

\* \* \*

ჯერ კიდევ როდის შემეყარა  
სიყვარულის ბაც ციალა  
ახლაა ციალა ცოლი იაჩემი –

ოფის ჩემინენტს –  
ოფის – ციალურად!  
ჩემინი სოციალური მდგომარეობა –  
საშუალოზე იღნავ უკეთესი!

ერთადა ვართ – ჩემინ ვერ ვიცხოვობთ  
ციალ – ციალკე!

გახსოვთ ცვეტაევა:  
ციალური უას ჩერეზ სოტნი  
რაზიდინიაიუმჩის ღეტ!

ციალა ასაგ არა მოსალოდნელი,  
ქმარს ჩაიში ციალმუავა ჩაუსხას.

როცა ფული არ ყოფნის,  
ჩემთვის ბანანს ყიდულობს ციალო ბით!  
მეცნიერებიდან განსაკუთრებით აფასებს  
ციალოვსი!

არასოდეს დაგრძებთ ციალს!

არაფერი იმაში, რაც წაიკითხეთ,  
არ არის სასაციალი!

**ისევ ინვანტილური...**

შეკრეს ხეებმა პირი  
და წამოინებეს ქარი,  
ბევრი დალენენს მინა, ბევრგან გაიღო კარი;  
ბევრს აუწენეს თმები; მტერით ამოუგსეს პირი;  
ყოფა უტირს ზენრებს; დაძრეს სილა და კირი;  
ააფრიალეს კაბა, პალტო, ჯებერი და ჩოხა;  
აანგმუტუნეს ძალლი და ააბლავლეს ძროხა;  
მოწმერდილი ცა უცებ გადააშავეს ღრუბლით;  
ბევრს დაუსუჭეს თვალი და გაუციეს შუბლი;  
ჩაკეტინეს ბებრებს დარაბები და კარი;  
და ანყევლინეს დღე და აუტანელი დარი!  
გაგვამნარეს და ბოლოს წვიმებიც ბლომად გვასხეს...

ასნი ვიყავით მაშინ, და შევეფარეთ ას ხეს...

**გამოსვლა ეგვიპტით**

სულ ანგალებს ფიქრი. ფიქრი  
არ ასვენებს მოსეს ღამით!  
არ აქვს ტახტი... არაფერში  
არ სტირდება მას ეს სკამი...  
იღუმალი მელოდით  
უცესებს სმენას მას ეს ხემი.  
ალბათ მისი. ალბათ უფლის...  
და ფრიალებს მოსასხამი...  
თითქო გვერდით ედგნენ სემი  
და იაფეტი და ქამი...  
მაგრამ განა მხოლოდ სამი –  
სხვა ღანდებიც... დღისით. ღამით....  
ბოლო მტურმისათვისა აქვს  
შერჩეული მას ეს ღამე  
და ფრიალებს ქვიშის მტვერში  
მოსეს ხამი მოსასხამი...

**ინვანტილური**

ხელს ღმერთისკენ იშვერენ:  
— ღმერთო, ღმერთო! მიშველე!

წყნარი დღეა, წყნარი ამინდი.  
ნიავი არ ტოკავს. არსად ფოთოლი არ ინძრევა!

არადა, ამ დროს დედამინა ბრუნავს!  
წუთში მისი სიჩქარეც ვიცით! —  
მთამბეჭდავი ციფრია!  
და ადამიანს უჩიდება ლოგიური კითხვა:

რატომ არ ტოკავს, რატომ არ ინძრევა ფოთოლი –  
დედამინამ, რა, ბრუნვა შეწყვიტა?

ან მისი სიჩქარე, ამ ბრუნვის სიჩქარე,  
ნულის ტოლია?

პასუხი არ აქვთ – მხრებს იჩეჩავენ  
აინშტაინი, ბორი, ბორნი, პლანკი, ტელერი...

რა ხდება, ბატონო ასტრონომებო,  
რა ხდება, გამოცდილო სინოპტიკოსებო!  
საათში ხუთი კილომეტრის სიჩქარით მიმავალ  
ველოსიპედზე ბიჭს ქოჩირი აშლილი აქვს,  
ხალათი უფრიალებას!  
გოგონების მთელი ყურადღებაც  
კაბეზები გადატანილი –  
ფრიალებს კაბაც,  
და ამ დროს ერთი რაა, ერთი ფოთოლიც არ ინძრევა!  
როგორ ხსნით, რით ხსნით ამას ყველაფერს! —  
დადგა დედამინა? მოძრაობა შეწყვიტა?  
ამ სიჩქარით მბრუნავ დედამინაზე  
ფოთოლი არ უნდა გატოკდეს?  
ვისგან გავიგო ამ კითხვაზე პასუხი, ვისგან! —  
მთვარისგან?

\* \* \*

დაინტო სიყვარულის გლობალური დათბობა!  
ნათქვამის ზუსტი განმარტება ძნელია! —  
ამას სიყვარულის განთქმული მცოდნენი  
შეძლებენ ალბათ! —  
თქვენ გაისხენეთ ისინი! —  
დიდი ფსიქოლოგები,  
ფსიქოანალიტიკოსები,  
მწერლები,  
რეჟისორები და,  
რაც მთავრია – დიდი შეყვარებულები!  
მე ნუ ჩამომათვლევინგბი! —  
შშენივრად იცით თქვენ! —  
ზოგის – გშურდათ,  
ზოგი – გებრალებოდათ

გლობალური დათბობა ალბათ ყველაზე შეტად,  
იქნებ ყველაზე შეტად,  
მგონი ყველაზე მეტად შეეხო სიყვარულსაც –  
ბუდუარმიც შეძრა,  
დეკოლტე გაბიოურა,  
დალატი ნორმად აქცია...

საინტერესოა, რა აზრის იქნებოდნენ ამაზე  
ფრონიდი, იუნგი, სტენდალი, ტოლსტოი, მარკიზ დე  
სადი...

ან მხატვრები, ვის ნინაშეც საათობით მსხდარან  
ან სულაც ნოლილან ტიტლიკანა ლამაზმანები...

ბუდუარმა გადაინაცვლა პლიაზზე  
ნესტანი ჩაენაცვლა ფატმანს

უიულიერ სირელს სიცილად არ ყოფნის

სიყვარულის თემა

ტესტოსტერონის ხარახურა  
ვაზელინები


მაზები

ტიტველები ტიტველები

გადამაბლული ტიტულები

მიდის სიყვარულის გლობალური დათბობა  
არავინ არაფრის აპირებს დათმობას

ნერტილი დაესვა ყველგვარ დაძმობას...





კართან მიხობდა და გაიჭვრიტა.

ძალი იწვა. თავი თათებზე დაედო და იწვა. ძლიერს ძალიერი ნამოდგა. ნაბახ-უსევობა იმდენად აღარ, რამდენადაც მხრის ტკივილი ანუხებდა. იფიქრა, ალბათ, მხარი მომტყვდაო და ნარმოდგენამ, რომ სასმლის მარცხენა ხელით დალევა მოუწევდა, გული აუჩუყა.

ისევ აივაზზე გავიდა და უიმედოდ მიმოხედა. არავინ იყო და თან უკვე ბეჭლოდა.

„რა დაავიწყდა ამდენი ხანი ამ დედა...“

— შეუკურთხა გულში მეზობელს და უცბად მიხვდა, რომ კი არ დაავიწყდა, შეგნებულად გაჟურეთ — იცოდა, როგორ ეშინოდა მისი დარეხვილი ძალის კობას. კართან მიუბა და ალბათ თვითონ ბერიურად ტელევიზორთან ზის და ერთობა. შეუქის ჩამრთველი ასწია და გაასხენდა, რომ გადაუხდელობის გამო მეოთხე დღეა ჩატრილი ჰქონდა დენი. სწორედ ამ დენისთვის ჩამოტენილი ნინი ერთ დროს ერთად გაზრდილმა მეზობლებმა. მაშინაც ელეტროენერგია ჰქონდა გათიშული კობას, სტუმრად ერთ მანდილოსანს ელოდა, ვინც საერთო ნაცონბის სუფრასთან გაიცნა. ცუდ შემთხვევაში ჯანსაღ, მამაპატურ სექსს, კარგ შემთხვევაში კი დაოჯახებას გეგმავდა (პირველის მიღწეული მეორეს გამორიცხავდა), მაგრამ ისე მოხდა, რომ დენი გაუთიშეს, გადახდას ვერ მოასწორებდა და ფულიც არ ჰქონდა (ბოლო კაპიკებით ძვირიანი არაყი იყიდა), მეზობლისგან მავთულით გამოჭიმვის კი მოერიდა, ამ ნელში მესამე იქნებოდა. ჩუმად დაჯდა კარის მეზობლის მრიცხველზე და სტუმარს დაელოდა.

ყველაფერი კარზე ბრახუნმა და გნიგამონევამ ჩაშალა. ჩემი ოჯახური ბეჭინიერება მეზობელმა შეინირა, ასე დაიჯერა კობამ და მას მერე დასანახავად ველარ იტანდა მთელ რჯახს. მერე ეს ძალი, რომ იწო წის და საიდანლაც რომ მოათოეს, აგრესიული და სუნიანი, ცხოვრებას უმნარებდა კაცს. ძალის მიმართ აუტანელი შიში მეზობლის მიმართ შიშთან ასოცირდებოდა მის ცნობიერებაში. სად ინტენსიურ ცხოველის და სად ადამიანის შიში, ვეღარ გაერკვია და ეს საოცრად ტანჯავდა, რადგან რაღაც ხმა შიგნიდან ამჟანათებდა, ძალის კი არა, მისი პატრონის გემზნია და ვერ აღიარებ, რომ იმ საბედისნერო დღეს, ქალის თანდასწებით თავ-პირი რომ დაგემტვრია მეზობლისთვის, ახლა ცოლ-შვილი გეყოლებიდა.

ისევ სამზარეულოში შებრუნდა, უჯრებში დანას დაუწყო ძებნა, მაგრამ პატარა მოეჩენა. ენახა, როგორი ჩეუბი იწოდა ამ ძალმა და იმის ნარმოდგენამ, რომ შეიძლება ხელი მოეჭამა მისთვის, დანით თავდაცის სურვილი მოუკლა. რამე უფრო გრძელი უნდა მოეძნა და სარეცხის თოვის გასანევი რკინა აიღო, კარი ფრთხილად გამოასრულდა და მოიწოდა. ძალმა გვერდით გახტომა მოასწორო, კბილებით რკინის ჯოხს ჩაფინიდა და ხელიდან გამოგოლიდა. კობამსთვის იმდენად მოულოდნენება აღმოჩნდა ის, რომ თურმე ძალლს რკინაზე კბილების ჩავლება შეძლებია, ლამის სასონარკვეთილი უიმედობის განცდა დაეუფლა. რაკილა ძალი რკინს კერნს, შეიძლება ეს ფარდალა კარიც შემოანგრიოს და სახლში შემოვარდეს. იქნებ დამშეულიცა და...

გაფირვებით, მაგრამ მაინც, იქვე მდგარი მცირე კომოდი კართან მიათორია და ზედ მიაყუდა, იქვე ჩაიმუხლა და ლამის ატირდა.

ასეთი გამოუვალი მდგომარეობა ჯერ არ ჰქონია. ვერ მოეფიქრებინა, რა ექნა. საწოლთან დაგდებული ტელეფონი აიღო და ნომრების სიას ჩამოუყვა. ბერვათან არც არავისთან ჰქონდა დასარეკი, ისევ გუშინდელ სტუმრებს თუ სთხოვდა დახმარებას. მოკლე ზარი გაუშვა და გათიშება.

კართან მივიდა და გაიჭვრიტა. სძნელი იყო და ვერაფერი გარჩია, ალბათ, სახელური შეაჯანვლარა და ღრმენა გაიგონა — იქნა სად ნავიდოდა, მიბმული

იყო.

დილით ადრე ადგა. პრინციპში, არც სძინებია, გამოენისას ჩაეძინა და ისიც მცირე ხნით. ხელ-პირს არც მანამდე იპანდა და ახლა მით უფრო. კართან მივიდა, მოწყინილ ძალის შეხედა და გაიფიქრა, რომ მოშებულზე ისე საშიში არ იქნებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, თვითონ იყო საშიში — მესამე დღე იყო, პირში ლუკა არ ჩაუდევს. სმის დროს ვერ ჭამის, როცა არ სვამს კიდევ, ეს იშვიათობა.

მაცივარი ცარიელი იყო. ვაშლის ნაკერი ნახა მუსიკოსის თევზზე და ის შექამა. მერე ისევ ეზოს გადახდება და დაუდარავდა.

ეს შიდა ეზო იყო. დარე სკოლას ემიჯნებოდა, მერე დიდი ღობე ამოაშენებს და არავი შედიოდა. დროგმბოშევებით, უბის ბიჭის და ერთო-ორი გამვლელი ნარკომანი თუ შეივლიდა ხოლმე. მერე ამ ადგილას პატარა ბიჭი მოკლეს და მას მერე გაველურებული ხეებით და დაბალი ბურქებით იყო დაფარული.

სასონარევეთილებისგან დაიყვირა, იქნებ მეზობელმა გამოიხედოს, მაგრამ არავი გამოპასუხებია.

გაბრაზებული შემობრუნდა და ისევ ტელეფონი აიღო. დის მეგობრის ნომერი მოხვდა თვალში, თვითონ გოგომ ჩაუქნერა საკუთარი ხელით სუზა და ამაზე კაბლისტიამბოდა, საკუთარ თავს განაჩენი ბედის სტილის და თანაც თევზენის რომ მომმართავთ, რომ თვის ნინ, მახსოვეს, მითხარით...

უბრალოდ არ შეეძლო ამ ქალის დანახვა.

ბოლო შეხვედრაზე ამის ახსნა სცადა სწორედ, მაგრამ ცოტა გაუგებრად გამოუვიდა, რადგან ქალი ტირილით გავარდა, დამ მიშველი შეხედულება აქვთ მორიდებაზე, დარეკა. ქალმა „ალოს“

თქმა მოასწორ და ანგარიშიც ამოინურა. ინანა, ისევ გამვლელის დალოდება სჯობდა და რამდენიმე ნუთში სუზაც დარეკა.

„არ შეგანუხებდით, მაგრამ უცნაურ სიტუაციაში ვარ...“ — ვერ მოიფიქრა, ლუიზა ეტქვა, ძვირფას თუ ჩემი ლუიზა და ბოლოს სუზა სიტყვა — „ასე ვთქვათ“, თქვა.

„არ შეგანუხებდით, მაგრამ უცნაურ სიტუაციაში ვარ...“

„ლირისი არაა აგინო?“ — გაიფიქრა, თქმით კი — „თქვენი დამშარება მჭირდება“.

„ეკრძოდ?“

„მელიცას გამოუძახოთ იქნებ ან მომაკითხოთ“

სუზა ვებრედა ტელორი იყო და გუნებაში შეუსწორა, „მილიცია, ან უკეთ იქნება პოლიცია“, მაგრამ უთხრა: „საოცარია ახლა რომ გაგასხენდით და თანაც თევზენის რომ მომმართავთ, რომ თვის ნინ, მახსოვეს, მითხარით...“

და ქითითი აუვარდა.

კობამ შეშინებულმა გათიშა და ქალ-საც აღარ გადმოურეებას. ინანა, რა

ონა. სწრაფად ნამოხტა და ჯერ კარისკენ, მერე კი რომ მიხვდა, საღანაც მოდიოდა, აივაზზე გავარდა. სიბრელეს ჩააშტერდა და ვერაფერი დაინახა, მაგრამ მაინც დაიყვირა — „ვინ ხარ მანდ, მიშველე!“

ბურქებში ვიღაც გაძრო. ყველაფერი მიჩრდდა, მერე კი ისევ ახმაურდა.

„მიშველე, ადამიანი არა ხარ? მელიციას დაუძახება, მეოთხე სართული. აქეთ, აქეთ!“

ის, ვისაც ხები ფარავდა, გაქრა. სიგარეტის ნამწვი დააგდო და გაქრა.

„საშველი აღარ არის, მამაძალი?“ — ხელები აღადყორდო მაღლა და ახლა კი ნამდვილად უიმედოდ ჩაიკეცა.

როდის-როდის ძალის ყეფა მოესმა. სწრაფად ნამოხტა და გასავლელისკენ გაიცია. ჭურუტანაში არც გაუხედავას, ისე გამოგლიჯა კარი. კართან პოლიციელი იდგა და ფანარს ძალის ანათებდა თვალებში.

ძალი გადმოებული ყეფა და, ფანრიანი პოლიციელისკენ ინევდა და ლამის აეწყიტო. კუბეზე გადმოებით გეფერები და გუნებაში შეუსწორა, მილიცია, ან უკეთ იქნება პოლიცია, „მაგრამ უთხრა: „გესმის?“ მერე კობას მიანათა რანი და — ჩემი მეძალეები არ ვარო!“

„მე მესმის, რომ არ ხარ, მაგრამ მე რადა ვენა, ორი დღეა სახლიდან ვერ გავსულვარ, მომიძეს და ყეფას და ინტესეს...“ შეგინება გადაწყვიტა, მაგრამ ვერ გაბეჭდა, შეურაცხოფად არ მიიღონ.

„აგე, მაგათი ძალია! — ხელი კარის მეზობლისკენ გაშვირა, — მაგათია. რაც პატრონი, ის ძალი!“

პოლიციელმა ხელით ანიშნა, კარი მოეცემო და მიუკეტა.

ჭურუტანაში აეკრო და დაელოდა, რა მოხდებოდა. ძალი არ ჩერდებოდა და სმაურში ვერ გაარჩია, რა ილაპარაკეს აპოლონმა და პოლიციელებმა. ის კი დაინახა, რომ პოლიციელის სილუეტი ირჯერ შებრუნდა მისი კარისკენ.

მერე მეზობელმა კარები მიკეტა და თვითობ გაალო.

„თქვენი მეზობელი ამბობს









## ჯვარები

გზა ჯვარებინი. ჯვარებინი რითმის მაგიერ. გზა.  
ჩემს უკან შენი ზამთარია. გზა დაბრუნდება უკან ისევ.  
ზეგ.  
ზღვარგადასული. ზღვით ავსებული ნაპირები აქცს მას.  
ზღვადაკარგული. უცხო ქალაქის მონატრება — მე.  
ხელისგულები. ნიჩებიყვით უღლნოა. დღეს,  
ან ხვალ ისევ გათენდება. დღეს თუ არა და ხვალ.  
გზა დამალული სათქმელია. ნასვლა თუ ალარ ლირს.  
გზა — დაწერილი სიტყვებია. თუკი გაგრავენ მხარს.  
მზეა. ჩვენს შორის ახლა მზეა. მზეა. მზის იქით  
აქეთ და იქით, სათიბებზე დამწვარან გზება.  
მზეა. და ახლა დროულია სიკვდილი, — ფიქრობ,  
მზეა და ახლა მზის გადასწვრივ მინაზე მგზავრობ.  
მზეა. და ახლა ისე შორის მზეა. მზეა. მზის აქეთ  
ცვილის სახლებში კაცი ძჭობენ. კაცი უჭიბენ.  
მზეა. ვწევართ და ტანზე ზამთრით ნახანდრალს ვიქრობთ  
და თვალებს ვხუჭავთ ჩვენს დაკარგულ ფერად საბძებზე.  
— გზა ჯვარებინი. ჯვარებინი ნასკვის მაგიერ. შენ.  
შენ უკან მოელი სამყაროა. მზე დალამდება ალბათ. თუ.  
ხმა თუ არ იღებს ნასახლარი. ნასახლარზე  
თუ არწევენ ჩვილს  
ხმადაკარგული იაგნანით. არ გაიარო. იყუჩე. ჩუ..

## ვრანი

როდის მოხვედი?  
ნუხანდელი ლამე გათენებას რომ აპირებდა და  
თვალებში ჯერაც სხივჩამდგარი ცას ვაკვირდებოდი,  
თუ მაშინ, როცა ლამე ისე გაინედა,  
სასაფლაოზე მარტო ვიდეექი და  
ახლადმინამყრილ საფლავებს ხელისგულებით  
ვთვლიდი.

— თბილია.

ცივი.  
ჯერ არც გახსნილა.

როდის მოხვედი, როცა შავებში ჩაცმული  
ამაოქას ჭირისუფლად ვეჯექი და  
იმდენად ლამაზი ვიყავი, რომ  
სიკვდილს თავისივე თავსაფრიდან დავცინოდი,  
თუ ახლა, როცა აჭრელებული სამოსიდან  
გაზაფხული ამოვებენდე და  
ხელში ფერადი ძაფები შემრჩა.

როცა გითხარი:

იჭექოს მაინც. ჩამოშალოს ბათქაში სახლში.  
ტროტუარები გააყოლოს მდინარეს წყალმა.  
წოლა. ეს ანუ, როცა სიზმარს ცხადისთვის ვახელ.  
და როცა დროა უკვე ნასვლის. ან როცა მწამლავს  
ძილი. ეს ანუ, — როცა უკვე დავხარე თვალი.  
როცა დრო არის დაბრუნების. ეს ანუ, — სადმე.  
და თუკი კიბის საფეხურში შენს ზურგზე ვთვალე.  
და თუკი, დროში უკვე ავცდი. და ვეღარ ვაგნებ  
ეს ანუ ღიმილს. სადაც ცხადად გავიდა წლები.  
სადაც, დრო აღარ დამრჩა უკვე. დრო გზებად იქცა.  
და სადაც სადლაც არარსებულ ლოგინზე ვწევარ.  
და სადაც სადმე გახედავ და... შორია. სივრცე.  
იჭექოს მაინც. გადაიგოს პირამდე მინა.

ხელისგულები — კირის გზები ნამალოს ქარმა.

კედელთან დგომა — ამბობენ, რომ ზურგიდან გიცავს.  
კედელთან უფრო იოლია. თუ მინა გფარავს.

როდის მოხვედი?

გულში მაისის მინა რომ ჩავიფინე  
სიცარიელის ამოსავებად  
და შესანდობრად ჩემი არა, სხვისი დალიე,  
გეგონა ამით დაბრუნებას გადამარჩენდი,  
თუ მაშინ, როცა ამოტრიალებულ ხელისგულებზე  
მინა ფქვილივით გადამაფერთხე  
და მიწისთვის ვერგამეტებული ჩემი ტანი  
შენი სახლის უკანა კედელში ჩატანე.

როდის მოხვედი?

ერთხელ, როცა პატარა ვიყავი  
და სულ არ მეგონა, რომ ოდესმე თვითმკვლელობაზე  
ვიფიქრებდი,  
თუ მაშინ, უკვე ქალაქისხელათვალებიანს  
რომ გადამეყარე  
და ხელიდან ფრანი გაგიფრინდა?

როცა გითხარი:

იჭექოს, მაინც. რა თქმა უნდა, ეს არის დალლა.  
და როცა თვალის უპეები შავია უკვე.  
და როცა ვხურავ ჩემის დარაბებს. ან, როცა ვალებ  
და როცა უკვე სულ ნაკლებად. ნაკლებად მიკვირს.  
რა დარჩა აქეთ. იქით რაა.. რა უნდა მოხდეს,  
ისეთი, რომ ჩემს ამოძენილ გაზაფხულს ჰგავდეს.  
ისეთი, რომ ჩვენს გათენებებს დაესწროს სახლში  
და სასეირნოდ გაიყვანოს ჰაერზე სადმე  
ის ხეიბარი გოგო, ვისაც კედელში სძინავს  
და თვალებს მხოლოდ მაშინ ხუჭავს, როდესაც ახელს.

როდის მოხვედი?..

ამ დროში თუ, ეს უკვე იყო.

## კატო ჯავახიშვილი

## გვალება

ყველამ დავხოცოთ ჩვენი შვილები.  
გაზრდილებიც. გასაზრდელებიც.  
ისინი, ვინც ვერ დაიბადნენ,  
და არც ითხოვეს.  
ვინც გადაგვასწრო დაბადება, -  
უკვე დაბერდა;  
ვინც ხელისგულის ხაზებიდან გამოვიგონეთ;  
ვინც არც გვიყვარდა;  
არც გვძულდა და  
კიდევ გვიყვარდა;  
ისინიც, ვინც ჩვენ დაგვაბრალა მზის ვერ ამოსვლა;  
ვინც ვერც სკოლაში ვერ იარა;  
ვერც გზა მოძებნა;  
ვინც, საკუთარი წილი მინა ვერსად იპოვა;  
ვანც იქცა მკვლელად;  
იქცა ქურდად;  
იქცა მეძავად;

სწრაფად დავხოცოთ ჩვენი შვილები.  
რბილ დაბადები ბასრი ლითონი გადაგუსვათ  
და ამოვისუნთქოთ.

ერთი მაგრად ამოვისუნთქოთ.  
ამოვისუნთქოთ და ამოვაყოლოთ:  
ჩვენი ყველა უსიზმრი ძილი;  
ჩვენი ვითომ არაფრთ დალლა;  
თითქოს თეთრ გემებს წარსულში ვძირავთ;  
თითქოს წამნამზ დავხარეთ,  
გაღმა  
ბარაკებია და ქურთის ქალი  
ჭუჭყიან მეერდზე მიკრული ჩვილით  
ჭრელი ჭინჭებით დაათრევს სევდას  
„პედრო, დონალდო,  
დონალდო, პედრო, პედრო...  
დაათრევს. ყვირის.  
„ჩვენ“ კი მოვდივართ,  
ნაჩეარევი ნაბიჯით სახლში  
და საკუთარი შვილებისთვის ღიმილით მიგვაქვს  
ყოვის ხურდაში მოყოლილი ფერადი გზები, -  
თითქოს საღეჭი რეზინა სხვისი სამშობლო.  
თითქოს, ეს ტუტე ცრემლის ტბა მხოლოდ სამშობლო  
ჩვენი შვილისთვის ვერნაყიდი „კევის“ სანაცვლოდ,  
თავს რომ არაფრთ გვანებებს და წარსულს გვიმალავს.

მიდი, სამშობლოვ, ამ მშიერი ბავშვის თვალებში  
ბადე ჩააგდე. ჭაობისფერ ტბაში თევზები  
წყალმცენარებს ხერხემლებით ეჭიდებიან.  
მიდი, სამშობლოვ, არ დაგვინდო, თავი გადადე  
სიძულვილისთვის. სინაწლში თავის დაზოგვა  
რა იოლია...

გლობალური გაჭირებისთვის  
ჩვენ გავამართლებთ დროს, რომელშიც  
შენ არ შეცვლილხარ, —  
ეს ჩვენ ვიქეცით  
გლობალურად საშიშ მხეცებად.

დრო აღარ იძრის.  
აღბათ ფეხში წყალი ჩაუდგა,  
რომ გაზაფხული დაგვენახა,  
მაგრამ...  
შეგვცივდა.  
მოდი, სამშობლოვ, ნორჩი სისხლით ქუჩა შევლებოთ,  
სისხლის წრეები დავახატოთ ქუჩებს.  
მზებად.

ახლა უკვე, თამამად შეგვიძლია ამოვარწყიოთ:  
სასუმალთან გატარებული დამეები;  
სამსახურში დაგვიარებები;  
დაბადების დღის საჩუქრისთვის ხელისკალით  
შეგროვილი ფული;  
ბანკომაზში ჩარჩენილი ბარათები;  
კინოს ბილეთები;  
ელექტროენერგიაზე მიბმული ნაგვის ბუნკერები;  
ჩასხვის საწინააღმდეგო აბები;  
ცულის ტარზე ვერდატეული სიყვარული;  
პოლობულაზე აზე ორიენტირებული ისტორია;  
მეგობრული ფეხისდადებები;  
ორა ზღვის და პატარა გოგოს ამბავი, —  
თითქოს საღეჭი რეზინა ჩვენი სამშობლო.  
კუჭს რომ მიეკრა.

„პედრო, დონალდო,  
დონალდო, პედრო, პედრო...“

ყველამ დავხოცოთ ჩვენი მაძლარი შვილები.  
პეჩენიებით,  
ჩიფსებით,  
ემულგატორებით  
გამოვუტენოთ კუჭი და მერე დავხოცოთ.

მშივრები მაინც არ მოკვდებიან.









# ଓଡ଼ିଆରୀତିଶ୍ଵରାଜ

მცირალითა სახლში მისულ სტუმრებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც მანამდე არც ისე ახლოს იცნობდა ლელა სამწიაშვილ-ისა და რეზო გეთაშვილის პოეზიას, ალ-ბათ დიდხანს გაჰყვება წყვილთან შეხვედრით, მათი ლექსებით მიღებული შთაბეჭდილება.



იმ დღეს ძალიან ცხელოდა და პოეტებმა ვერანდაზე უმასპინძლეს სტუმრებს. ხალხმრავლობა არ ყოფილა. იმიტომ კი არა, რომ ცოტა მეითხველი ჰყავთ, უბრალოდ,— ასეთი ხალხია, საკუთარი შემოქმედებითი სალამოს აფიშირებისთვის დიდად არ უზრუნიათ. შეიკრიბნენ მხოლოდ ძალიან ახლობლები და ისინი, ვინც მწერალთა სახლის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსებულ აფიშას ადევნებს თვალს. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა პოეზიის შენამდე მოსვლას არც მიკროფონი, არც ხალხით გადავსებული დარბაზის მქუჩარე ტაში, არც სიტყვამრავალი შესავლები და სხვა რაიმე ხელოვნური „მატარებელი“ სჭირდება, რადგან რეზოს მიერ დაბალ ხმაზე, თითქოს უხერხულადაც წაკითხული ლექსები და მისგან სრულიად განსხვავებული პოეზია ლელასი თავისთავად მოქმედებს, მასთან გაერთიანებს, ენერგიით გმუხტავს და ვერც კი ხვდები, როგორ ან როდის აღმოაჩინე, რომ ამ პოეტების ერთგული გახდი.

იქვე გვერდით, მრგვალ პატარა მაგიდაზე ლელა სამნიაშვილის ბოლო კრებულის, 2010 წელს გამოცემული „ფრაქტალების“ ტირაჟიდან შემორჩენილი ეგზემპლარები იღო. პირველი კრებული „ფოტოაბები“ 2000 წელს „მერანმა“ გამოსცა, შემდეგ „კავკასიური სახლმა“ დაბეჭდა „გველს წელიწადი“, 2006-ში კი „სიესტამ“ — „მუდმივი ტატიუ“. მკითველი ავტორს უფრო ადრეც იცნობდა, ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული საკუთარი თუ თარგმნილი ლექსებითა და ინგლისურენოვანი პოეტების მცირე ანთოლოგით. მნერალთა სახლის ვერანდაზე ლელამ ბოლო წლებში დაწერილი, როგორც სჩვევია, ამაღლებულებისა და „კონწიაობის გან“ თავსუფალი, მკაცრი, მოქნილი, შინაარსიანი ლექსები წაიკითხა.

რეზომ კი 2007 წლს გამოცემული „არტ-ყვავილები“ გადაშალა და ძველი ნაწერი, ნააზრევი გაახსენა მკითხველს. ეს იმ დროს დაწერილი ლექსებია, როცა პოეზიაში ვკხოვრობდი, ახლა დიდი ხანია აქ-

ჭიურად აღარ ვმუშაობო. მიზეზების მო  
ძებნას სტუმრები შეუდგნენ, ალბათ სამ  
სახურიო, ნამოიძახეს. ზოგიერთმა სამა  
წლის მართას „დააბრალა“ ყველაფური  
მაგრამ რეზომ, — მიზეზი უფრო ჩემშიაო  
და იქვე დაამშვიდა საზოგადოება სიტყვებით:  
„ამაში პრობლემას გერ ვხედავ. პოლ

ლად ვესწრები ამგვარ ღონისძიებას, მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „საუნჯიის“ თავკაცს, ვაჟა ნინოკოლაურს რომელმაც „ხელმოკლე ავტორს“ გამომცემელთან საუბრის უხერხულობა და სიმძიმე აარიდა და უმალ მიიღო გადაწყვეტილება მისი ახალი ლექსების გამოცემისა. პოეტმა დიდი მადლიერებით მოიხსენია უმცროსი მეგობარი და თანამოაზრები ილო ფხოველი, რომელსაც წიგნის რედაქტორობა ანდო. მიუხედვად იმისა, რომ ილო ახალგაზრდა იურისტია, ის მწერლობის ჩინებულ მცოდნედ, ლიტერატურული აღღოს პატრონად მოგვეველინა, შესანიშნავად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ავტორთან თანამშომლობითა და თანამოაზრებით შეკრული შთამბეჭდავი კრებული წარუდგინა მკითხველს. წიგნის ავტორს არც გამოცემის დიზაინერი ნიკა ხვედელიძე დავით წუნია.

შემოქმედი მთელი სიცოცხლე ვიღაცის გავლენას განიცდის, ოქვა ბატონმა ჯარ-ჯიმ და იქვე დაასახელა ორი პოეტი ქალი, მარიამ წიკლაური და მარიამ ხუცურაული, რომელთა შემოქმედების „კეთილშობილი და ნარმმართველი“ გავლენითაც და-მუხტულია „უდაბნოს წიგნი“. სწორედ მარ-იამ წიკლაურმა, როგორც „საუნჯის“ წარ-მომადგენელმა, წარუდგინა დამსწერ ახა-ლი გამოცემა და ავტორს სთხოვა, წაე-კითხა ლექსები კრებულიდან.

საღამო ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდა. ჯარჯი ფხოველის შემოქმედებაზე ისაუბრეს მარიამ ხუცურაულმა, გიორგი ბერიძემ (მარსანი), გურამ პეტრიაშვილმა, ტრისტან მახაურმა და სხვებმა. მექანის განვითარების პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენებში ქართული პოეზიის დიდ სიყვარულზე გვიამბო და მის მიერ ჩეჩენურ ენაზე თარგმნილი ჯარჯი ფხოველის ერთოლექსი წაიკითხა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ლიტერატორ გია ბერიძის (მარსანი) მიერ ქართველ 70-იანელ პოეტთა შემოქმედებით გზის მოკლე, თუმცა შინაარსიანი და ღრმა მიმოხილვა. იმ თაობიდან მან ჯარჯი ფხოველი გამოარჩია და მისეული ვერლიბრისა და ტრადიციული ლექსის უკეთ წარმოსაჩენად, მხატვრული ოსტატობის მაგალითად სამი პატარა ლექსი შემოგვთავაზა. გამომსვლელები ზეპირად კითხულობდნენ ავტორის ლექსებს, გატაცებით იხსენებდნენ საინტერესო ამბებს პოეტის ცხოვრებიდან და მასთან ურთიერთობით მიღებულ შთაბეჭდილების.

იმ საღამოს ჯარჯი ფხოველი არა მხოლოდ ახალი კრებულის ავტორი, არამედ იუბილარიც იყო. ნინა დღეს მას 70 წელი შეისრულდა.

ახალ წიგნზე, მის არსა და დანიშ-  
ნულებაზე ყველაზე უკეთ თავად ავტორ-  
მა თქვა შესავალში: „ეს არის ჩემი ბოლო  
წიგნი: ჩემი წუთისოფლის ბოლოეუდა... ეს  
წიგნი სულიერ უდაბნოში მოხეტიალე მგ-  
ზავრის ფორმაჟისა და შეჭირვების ანარეპ-  
ლია... პოეზიამ უნდა ასახოს ის, რაც არის,  
რაც თითქოს უჩინარია, სახვალიოდ რომელ  
უფრო გამოიკვეთება: ქმუნვა და შავნალვე-  
ლი... ეს უნდა იგრძნოს მყითხველმა და  
პოეზიას ნაზიარებმა სულმა, ეგებ  
თავისთავში აღმოაჩინოს მათი დაძლევის  
უნარი ლეთაებრივი. მჯერა: პოეზიის ჯა-  
დოსნური, ლეთივკურთხეული ძალა მთა-  
ვარი და შეუცვლელია სულიერი მთლიანო-  
ბის ეპორჩინის, ურთიობის, გზაზე“

მნერალთა სახლის დიდ დარბაზში  
მთარგმნელის, მწერლის, ლიტერატორის  
გიორგი (ჟორჟ) ეკიზაშვილის მოსასმენად  
დიდი აუდიტორია შეიკრიბა. მასპინძელი  
საღამოს განმავლობაში წუთით არ დამჯდარა,  
მიკროფონით საუბარზეც უარი  
თქვა, შეხვედრას ერთგვარი თავისუფალი  
სახე მისცა და ფინჯან ყავასაც კი, მდგო-  
მარე შეეცცოდა. მაინც მგონია, რომ ეს  
ბატონი უორჟის მხრიდან მოკრძალებისა  
და პატივისცემის გამოხატულება იყო იმ  
ხალხის, ქართველ მწერალთა იმ რჩეული

თაობების მიმართ, ვინც გასული საუკუნის  
დასაწყისიდან მოყოლებული სწორედ ამ  
დარპაზში იკრიბებოდა და დიდი ლიტერ-  
ატურის ახალ ნიმუშებს აცნობდა დამ-  
სწრეთ. აյս, თქვა კიდევაც ვგრძნობ, ვიცი,  
რომ ისინი ახლაც აქ, ჩევნ გვერდით დგა-  
ნანო. სულთა კავშირს, თაობებს შორის  
დაურღვეველ ძალებს არაერთი თანამედ-  
როვე ავტორი, შემოქმედი გრძნობს. ეს  
იდუმალი კავშირი ბატონი უორჯის შინა-  
განი გამოცდილებაცაა და ბუნებრივია,  
რომ მისი შემოქმედება ამ ძალზე პირადი  
ემოციით თუ ხედვით საზრდოობს. ის გულ-  
ნრფელი ავტორია.

ლოდ, ფრანგი მწერლების ნააზრევი გად-  
მომაქვს ქართულ ენაზე, მას ჩემეული აღ-  
ქმით, თანაგანცდით ვაქართულები. და  
გაიხსენა საყვარელი მწერლის, ალბერ კა-  
მიუს დამოკიდებულება იგივე თემის მიმა-  
რთ. წინააღმდეგი იყო, თურმე, მის მიერ  
ინგლისურიდან ფრანგულზე გადმოღებუ-  
ლი ნანრმოები მოეხსენინონათ, როგორც  
„ინგლისურიდან თარგმნილი“ და გამომ-  
ცემლებისგან ითხოვდა დაენერათ: „ფრან-  
გული ტექსტის ავტორი ალბერ კამიუ“.

არც პოეტი ვარო, განმარტა ბატონიშვილი უკავშირის, მე, უბრალოდ, რაღაც ფორმაში მოვაქციე სათქმელი და დაემსგავსა ლექსს, ან ჯონისის, იგივე კამიუს შემდეგ, განა შეიძლებოდა მწერლობაზე მეფიქრა. და ბოლოს და ბოლოს, რა ვარ მე? ამაზე პასუხი არავის აქვს და ვერც მე გიპასუხებთო.

საბოლოოდ მაინც „შეხვედრა მთარგ-მნელთა“ — ამ ციკლით გამართა უკირვეული სამართლის სახლში მწერალთა სახლმა — ძალზე ბუნებრივად გასცდა ციკლის შინაარსობრივ ფარგლებს და გადაიცა შეხვედრად პოეტთან, მწერალთან, ლიტერატორთან და ცხადია, ფრანგულიდან გადმოღებულ-გადმოაზრებული ქართული ტექსტების ავტორთან.

იგი საკუთარ თუ თარგმნილ ტექსტებს კითხულობდა, თუმცა მსმენელისთვის



ორიგინალურ პოეტურ და პროზაულ თხ-  
ზულებებსა და ფრანგი ავტორებიდან გა-  
დმოქართულებულ ნაწარმოებებს შორის  
ზღვარი ერთგვარად წაშლილი იყო, ვი-  
ნაიდან თითოეულ ტექსტი ჟორუჟ ეკიზაშ-  
ვილის უაღრესად პირადი, ინდივიდუ-  
ალური, შინაგანი „ნიშნით“ იყო აღბეჭდ-  
ილი და მათ ერთი ავტორის შემოქმედების  
სახითო ართოანიტო.

მოამზადა თამარ ურულება

# ლიტერატურული განვითარების მუზეუმი

**საქართველოს კულტურისა და ეგზოგრაფიკული მეცნიერებების სამინისტრო**  
**საქართველოს მთავრობა სახლი**

რედაქტორი ირაკლი ჭავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
უურნალისტი თამარ უურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com